ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №13

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65 10.11.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-**ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, კობა ტოხვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი-**კობა მაღლაკელიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

სხდომა 13^{00}-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, ოქტომბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს: /ვლადიმერ ჭვალაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა მაქსიმალური რაოდენობისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

მომხს: /ვლადიმერ ჭვალაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხს: /ივანე მამფორია/

6. 2022 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხს: /ივანე მამფორია/

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხს: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა განმარტა, რომ „სტრატეგიის პროექტი განხილულ იქნა გენდერული საბჭოს სხდომაზე.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია (შემდგომში-სტრატეგია) შედგება 10 მუხლისგან და განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს.

სტრატეგია წარმოადგენს ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის სფეროში სამოქმედო გეგმის და მისგან გამომდინარე პროგრამული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს და მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის პრინციპების განხორციელებისაკენ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 07 ნოემბრის N65-6522311001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ოქტომბრის თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 10 ნოემბრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებლმა განმარტა, დავით ხარძეიშვილი და გელა ჩიკვაიძე ტოვებს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს რიგებს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა მაქსიმალური რაოდენობისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N48 დადგენილებით დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 23-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის 10 ნოემბრის N13 სხდომის ოქმის საფუძველზე:

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 13 წევრით.

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები დანართის შესაბამისად.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის ნოემბრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან მომხსენებელმა ივანე მამფორიამ ბიუროს წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N24 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 8750,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 9300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 550,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში ხუთჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 18337,8 ათასი ლარის, გადასახდელები 21316,6 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ათასი ლარის მოცულობით".

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო 2022 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია. მომხსენებლმა აღნიშნა, რომ „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2022 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 118,9 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულებაც 118,9 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 112,2 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით 6,7 ათასი ლარი მიიმართა".

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

ბიროს წევრებმა დაამტკიცეს 10 ნოემბრის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე